Rostom Chkheidze
Writer, Member of Parliament of
Georgia from 2020 to 2024

A Vision of Baratashvili, in the Palm of a Hand: Researching Julieta Gabodze's Essay

(Abstract)

KEYWORDS: Nikoloz Baratashvili, Heraclius II, Solomon Lionidze, Dialogue, Russia, Resistance, Freedom, Protection, Conquest, Dimitri Kipiani, Conceptual Framework, Censorship, Self-Censorship, Georgia

The conclusion of the dialogue between King Heraclius II (1720–1798) and his vice chancellor, Solomon Lionidze (1754–1811) – as it appears in Nikoloz Baratashvili's (1817–1845) epic poem *Fate of Kartli* (1839) – is preserved in our collective memory in the following form:

"That, whether today or tomorrow,
The Russian sovereign power will protect Kartli!.."

At the same time, the text creates a tension with King Heraclius's earlier statement:

"I shall heed your counsel
And silence the yearnings of my heart,"

which implies that the Georgian king shared the vice chancellor's apprehension about the loss of Kartli-Kakheti's freedom. The later passage, however, suddenly introduces the assurance that the Russian sovereign power will protect Kartli. This juxtaposition

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

suggests that an underlying shift in meaning may be concealed within what appears, on the surface, to be a coherent conclusion.

What, then, accounts for this discrepancy?

In every printed version of *Fate of Kartli* – whether derived from the epic's manuscripts, autographs, or copies – the relevant wording contains the same verb: "protect". All versions agree in this respect except one: a manuscript associated with Dimitri Kipiani (1814–1887). In that passage, only one word differs; yet that single divergence significantly alters the ideological import of *Fate of Kartli*, clarifying its conceptual direction and eliminating any lingering ambiguity.

Before considering this key word, it is essential to note that the 1922, 1939, and 1945 editions of Baratashvili's works did not incorporate the Kipiani manuscript as a source. Although the manuscript was identified in the 1968 and 1972 editions, it was not treated as a distinct version – or even as a textual variant – and no account was taken of its textual differences.

Julieta Gabodze devoted particular attention to the Kipiani manuscript. She examined it closely, identified it as an important witness to the epic's transmission, and argued for its scholarly significance in her essay, "The Unknown Edition of Baratashvili's *Bedi Qartlisa* (*Fate of Kartli*): Self-Censorship or the Poet's Creative Will?" Her study documents numerous lexical differences, grammatical variants and clear structural divergences.

Against this broader background, the most striking feature is the altered meaning of the passage when compared with the text treated as canonical – namely, an alteration generated by a single, decisive word:

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

"That, whether today or tomorrow,

The Russian sovereign power will conquer Kartli."

"Conquer"!

Not "protect", but "conquer".

This change brings the poem's artistic and ideological stance into sharp relief.

It is also noteworthy that most of the variant readings occur in both of Nikoloz Baratashvili's autograph manuscripts as well as in a printed source derived from one of them – thereby further reinforcing the significance of this textual tradition. There remains, however, one exception: "conquer".

Taken together, these observations provide compelling grounds for viewing Dimitri Kipiani's manuscript as an authorised source of the poem, derived from one of the autograph witnesses. Accordingly, the Kipiani manuscript should not be understood merely as an alternative reading within an established text but as a distinct version of the epic. This conclusion allows the researcher to state: "We now possess four versions of the poem."

The ideological shift – specifically, the substitution of "will protect" for the phrase "will conquer" – may be explained by self-censorship. The circulation of an autograph manuscript would inevitably have attracted the attention of the authorities, and the verb "conquer", which directly challenged Russian state propaganda, would not have escaped punishment had it been discovered. 22-year-old Baratashvili vividly remembered the harsh consequences he had endured during his student years for composing and covertly circulating satirical verses. For this

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

reason, he was inclined to veil the poem's ideological commitments, embedding them within transparent subtexts and formulations that could plausibly be interpreted as innocuous. Read in this light, the passage should therefore be understood as follows:

"That, whether today or tomorrow,
The Russian sovereign power will conquer Kartli."

Finally, it is especially significant that this intention – central to the epic's meaning – was held precisely in the version maintained by Saint Dimitri Kipiani. The Russian authorities killed Kipiani for his unwavering patriotism and devoted service to Georgia. Although he serviced officially in the Russian Empire, Kipiani used his high position to benefit his homeland. Symbolically, he also played a vital role in preserving for future generations – after 185 years – the original edition of Nikoloz Baratashvili's epic, *Fate of Kartli*.

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

როსტომ ჩხეიძე
მწერალი, საქართველოს მე-10 მოწვევის
პარლამენტის წევრი (2020-2024)

ხედვა ბარათაშვილური: ხელისბუდეზე (ჯულიეტა გაბოძის ნარკვევის კვალზე)

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერეკლე II, სოლომონ ლიონიძე, დიალოგი, რუსეთი, წინააღმდეგობა, თავისუფლება, დაცვა, დაპყრობა, დიმიტრი ყიფიანი, იდეური კონცეფცია, ცენზურა, ავტო-ცენზურა, საქართველო

ასე ჩაგვებეჭდვია ხსოვნაში დასასრული ბარათაშვილური დიალოგისა მეფე ერეკლესა და სოლომონ მსაჯულს[1] შორის:

რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფებაო!..[2]

შემჩნევით ზოგი კიდეც ვამჩნევდით წინააღმდეგობას მეფის წინარე სიტყვებსა და ამ სტრიქონებს შორის:

აი, მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემს გულის თქმათაო,[3]

რაც მიგვანიშნებდა, რომ ერეკლე იზიარებდა მსაჯულის შიშს ქართლ-კახეთის თავისუფლების დაკარგვის გამო.[4]

და უეცრად:

იმედოვნება, რომ ქართლს დაიცავდა რუსთ ხელმწიფება.

ეს გვაგრძნობინებდა, რომ: აქ, ამ ალოგიკურობაში რაღაც იფარებოდა; მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ეს „რაღაც“?

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„ბედი ქართლისას“[5] ყველა ნაბეჭდი ტექსტი, დაყრდნობილი პოემის ხელნაწერებს, ავტოგრაფებსა თუ ასლებს, დაბეჯითებით იმეორებდა ამ „დაიცავს“.

ყველა, ერთი გამონაკლისის გარდა: დიმიტრი ყიფიანისეული[6] ხელნაწერისა.[7]

ერთი, ერთადერთი სიტყვა იცვლებოდა ამ მონაკვეთში, მაგრამ ეს ერთი სიტყვა სრულიად ცვლიდა, უფრო სწორად – სახიერს ხდიდა „ბედი ქართლისას“ იდეურ მრწამსს, საყოყმანო და დასაეჭვებელი რომ აღარაფერი რჩებოდა.

რა სიტყვაა და...

თუმც მანამდე უნდა ითქვას, რომ: ყიფიანისეულ ამ ხელნაწერ წყაროს არ იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922,[8] 1939 და 1945[9] წლების გამოცემები.

1968[10] და 1972[11] წლების გამოცემებში ეს ხელნაწერი ასლი დასახელებით კი დასახელებულიყო, თუმც: არამცთუ სხვა რედაქციად, ვარიანტადაც არ მიჩნეულიყო და არცერთი ნაირწაკითხვა არ აღნიშნულიყო.

და აი, ჯულიეტა გაბოძეს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცია ამ ხელნაწერი ასლისათვის, გულდასმით შეესწავლა, მიეჩნია პოემის მნიშვნელოვან რედაქციად და დაესაბუთებინა მისი ეს მნიშვნელობა ნარკვევში: „ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ უცნობი რედაქცია (ავტოცენზურა თუ პოეტის შემოქმედებითი ნება)“.[12]

შესწავლის შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ:

არაერთი იქნებოდა ლექსკური სხვაობაც,

გრამატიკული ნაირწაკითხვაც,

სტრუქტურული სხვაობაც შესამჩნევი: ამ ვერსიის ტექსტი წითელი ფანქრით დაყოფილიყო 25 ნაკვეთად, სტრიქონები კი დანომრილიყო, რითაც გამოკვეთილიყო ცალკეული ეპიზოდები.

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და ამ ფონზე კიდევ უფრო კანთიელად უნდა წარმოჩენილიყო შინაარსობრივი განსხვავება კანონიკურად მიჩნეული ტექსტისაგან, იმ ერთი, ერთადერთი, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვით გამოწვეული:

„რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფება“.

დაიპყრობსო!

განა „დაიცავს“, არამედ „დაიპყრობს“!..

სახიერად გამოკვეთილა და ეგ არის პოემის მხატვრულ-იდეური კონცეპცია!

და ჯულიეტა გაბოძეს ძალდაუტანებლად უნდა წამოჭროდა შეკითხვები:

რატომ არ უნდა მიეჩნიათ გამომცემლებს პოემის დიმიტრი ყიფიანისეული ხელნაწერი ყურადსაღებ წყაროდ?

შესაძლოა, მასში არსებული ერთობ სახიფათო შინაარსობრივი ნაირწაკითხვების გამო?

ან, იქნებ, ეს სწორებანი ავტორისეულად არც ჩათვალეს?

თავის მხრივ ნარკვევის ავტორი რომ მიადევნებდა: ვინ შეიტანდა ტექსტში ამდენ სწორებას, ანდა დიმიტრი ყიფიანი რატომ გადაწერდა სხვის მიერ ნასწორებ ტექსტს და ბარათაშვილის გვარს რატომდა მიაწერდაო!

ეგებ დიმიტრი ყიფიანი ჩარეულიყო ტექსტში?

ამ გარემოებას ჯულიეტა გაბოძე გამორიცხავდა იმ მიზეზთა გამო, რომ

ჯერ ერთი:

სჩვეოდა ყოველი საქმისადმი კეთილსინდისიერი და სკრუპულოზური დამოკიდებულება.

მეორეც:

იგი შედიოდა იმ სახელისუფლებო ელიტაში, რომელიც მართავდა კავკასიას და რუსეთის მმართველობა-

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ში საქართველოს ყოფნას მიიჩნევდა არა დაპყრობად, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების შესაძლებლობად.

და მესამეც:

შეუძლებელი გახლდათ ვინმეს და, მითუფრო, დიმიტრი ყიფიანს, პოემის ტექსტში შეეტანა ამდენი შინაარსობრივი, ლექსიკური, გრამატიკული თუ სტრუქტურული ხასიათის ცვლილება.

საყურადღებოდ ესახებოდა მკვლევარს ისიც, რომ: ამ ნაირწაკითხვათა უმეტესობა გვხვდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ორივე ავტოგრაფულ ხელნაწერშიც და იმ ნაბეჭდ წყაროშიც, რომელიც ასევე ავტოგრაფიდან მომდინარეობდა.

გამონაკლისს წარმოადგენდა ერთადერთი განსხვავება:

დაიპყრობს!..

ყველა ეს არგუმენტი მართლც ცხადყოფს, რომ:

დიმიტრი ყიფიანისეული ხელნაწერი პოემის ავტორიზებული წყაროა, მომდინარე „ბედი ქართლისას“ ერთერთი ავტოგრაფული ნუსხიდან და მაშ ეს ხელნაწერი წყარო წარმოდგება პოემის არა ვარიანტად, არამედ მის ერთ-ერთ რედაქციად, რაც საშუალებას მისცემდა მკვლევარს დაესკვნა:

დღეისათვის უკვე პოემის ოთხი რედაქცია გვაქვსო.[13]

იმ ცვლილებას კი:

„დაიცავს“, ნაცვლად იმ არსებითი მნიშვნელობის სიტყვისა, „დაიპყრობს“, ახსნიდა ავტოცენზურით, რაკიღა გავრცელებას ავტოგრაფული ხელნაწერისა აუცილებლად მოჰყვებოდა პოლიციისა და საიდუმლო სამსახურის ჩარევა ამ პროცესში და ეს სიტყვა – დაიპყრობს, რომელიც თავდაყირა აყენებდა რუსულ სახელსუფლებო პროპაგანდას, პოეტს დაუსჯელად არ ჩაუვლიდა.

BRAMS 2026 Nov
Volume 7, Issue 19
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნიკოლოზ ბარათაშვილს მწარედ დამახსოვრებოდა, რა დღესაც დააყრიდნენ სატირული ლექსების შეთხზვისა და ფარული გავრცელებისათვის ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში.[14] ამიტომაც ამჯობინებდა პოემის იდეური მრწამსის შეფარვას, გამჭვირვალე ქვეტექსტებსა თუ გარეგნულ ალოგიკურობაში ჩამალვას.

ასე რომ:

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირვანდელი ნება ეს არის და მხოლოდ ასე უნდა ვკითხულობდეთ ამ პასაჟს და აქედან გავიაზრებდეთ „ბედი ქართლისას“ იდეურ კონცეფციას:

„რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება,
ქართლსა **დაიპყრობს** რუსთ ხელმწიფება“.

თავისებურად სიმბოლურია, რომ:

ეს ნება პოეტისა, ეს ძირეული მრწამსი პოემისა დიმიტრი ყიფიანის მიერ გადაწერილ რედაქციას[15] უნდა შემოენახა!..

ლიტერატურა ▫ References

1. ჭიჭინაძე ზაქარია (1910). სოლომონ ლეონიძე: მსაჯული, ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა. ტფილისი: ელექტრო-მბეჭდავი „ნადეჟდა“. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/215159
2. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1993). ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. თბილისი: „მერანი“.
3. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1839). ბედი ქართლისა. http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/nikoloz_baratashvili/Poema/bedi%20kartlisa.pdf
4. მარუშიძე ია (იანვარი 1901). სოლომონ ლეონიძე, მსაჯული მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების მომზადების წვლილნი. ისტორიული-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი ყოველთვიური

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჟურნალი „მოგზაური“, №2, გვ. 157-172, ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301528
5. ბარათაშვილი ნიკოლოზ (2019). ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები (Poems, letters, *Fate of Kartli*). მთავარი რედაქტორი – ლია ნადარეიშვილი, თბილისი: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. მწიგნობართა ასოციაცია.
6. ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (2017). წმიდა დიმიტრი ყიფიანი. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, გვ. 144-145, თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/525362
7. ჯოლოგუა თამაზ (შემდ.) (2007). საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი: მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის (ტომი 2). რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე, თბილისი: „ზეკარი“.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/501228/1/Sashvilishvilo_Mokavshire_Dimitri_Yifiani_2007_Tomi_II.pdf
8. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1922). ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები. ტფილისი.
9. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1945). თხზულებანი. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“.
10. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1968). თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
11. ბარათაშვილი ნიკოლოზ (1972). თხზულებანი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
12. გაბოძე ჯულიეტა (დეკემბერი 2025). ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ უცნობი რედაქცია (ავტოცენზურა თუ პოეტის შემოქმედებითი ნება). ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, 45, 102-119. https://doi.org/10.62119/lr.45.2025.9966
https://literaryresearches.litinstituti.ge/index.php/literaryresearches/article/view/9966/10482
13. იქვე, გვ. 116.
14. ტყებუჩავა დიანა (2023). ქართველი მეცნიერის უცხოეთში ჩაკარგული კვალი. მეორე საერთაშორისო კონფერენციის „საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი“ მასალები, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის

ინსტიტუტი, თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 277-284.
15. მელიქიშვილი ლევან. გრიგოლ ორბელიანის არქივი, ხეც №662/№124.
16. მარუშიძე ია (მარტი 1902). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი II). ჟურნ. „მოგზაური“, №3, გვ. 256-264. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301537 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301529/1/Mogzauri_1901_N3.pdf
17. მარუშიძე ია (მაისი 1901). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი III). ჟურნ. „მოგზაური“, №5, გვ. 486-495. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301537
18. მარუშიძე ია (აგვისტო 1901). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი IV). ჟურნ. „მოგზაური“, №8-9, გვ. 858-872. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301540
19. მარუშიძე ია (ოქტომბერი 1901). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი V). ჟურნ. „მოგზაური“, №10, გვ. 1004-1012. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301542
20. მარუშიძე ია (ნოემბერი 1901). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი VI). ჟურნ. „მოგზაური“, №11, გვ. 1077-1083. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301544
21. მარუშიძე ია (ქრისტეშობისთვე 1901). სოლომონ ლეონიძე (ნაწილი VII). ჟურნ. „მოგზაური“, №12, გვ. 1173-1177. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/301546 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/301546/3/Mogzauri_1901_N12.pdf
22. გაჩეჩილაძე სოლომონ (15 თებერვალი, 1992), ლიონიძე თუ ლეონიძე? გაზ. „საქართველო“, №6, გვ. 4.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)